სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

05 აგვისტო 2026

N 21/11429

ი/მ გელა გოგოლაძეს

მის: ქ. ბორჯომი, თორის ქუჩა №94ა/94ბ

ელფოსტა: temuri.koncelidze55@gmail.com

ბატონო გელა,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 6 ივლისის №10180 წერილით გათვალისწინებული, ქალაქ ბორჯომის ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობის (სასარგებლო წიაღისეულის (პემზა) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია) სკრინინგის განცხადება და გაცნობებთ შემდგომს:

ა) სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს სასარგებლო წიაღისეულის (პემზის) გადამუშავების ტექნოლოგიური ხაზის ზუსტი აღწერა. სასარგებლო წიაღისეულის სველი წესით გადამუშავების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს ამ პროცესისთვის საჭირო წყლის მოცულობა, ინფორმაცია წყალაღების შესახებ და წარმოქმნილი ჩამდინარე წყლის შემდგომი მართვის საკითხები;

ბ) სკრინინგის განცხადებაში დასაზუსტებელია საწარმოს წარმადობა. ვინაიდან დოკუმენტში მითითებული წარმადობის მაჩვენებლები ერთმანეთს არ შეესაბამება, საჭიროა წარმადობის მაჩვენებლების დაზუსტება და წარმოდგენა შესაბამის საზომ ერთეულში ($მ^3$);

გ) მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთით უახლოესი საცხოვრებელი სახლი განთავსებულია 130 მეტრში (ს/კ 64.23.03.746). სკრინინგის განცხადებაში მოცემული გაბნევის გაანგარიშება უნდა შესრულდეს ფაქტობრივი მდგომარეობის (საწარმოს ტერიტორიაზე არსებული გაფრქვევის წყაროები, თითოეულ ტექნოლოგიურ ხაზზე გადასამუშავებელი სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობები და სხვა მონაცემები) გათვალისწინებით და ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა მოდელირების ანგარიში უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან მიმართებით. დამატებით გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორია ექცევა II - დაბალმთიან საკურორტო ზონაში (500 -1000 მ ზღვის დონიდან), შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა მოდელირების ანგარიშში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება უნდა შეფასდეს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის №408 დადგენილებით დამტკიცებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად;

დ) საპროექტო ტერიტორია ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის – ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზის ვიზუალური დაცვის არეალში. შესაბამისად, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი. კერძოდ, კანონის 36-ე მუხლით, ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის

ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას. ამასთან, კანონის 41-ე მუხლის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში სამშენებლო და სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვას გასცემს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბორჯომში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (პემზა) საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტირების ეტაპზე დაცული უნდა იყოს მითითებული კანონის მოთხოვნები;

ე) სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბორჯომის მინერალური წყლის საბადოს სანიტარიული დაცვის მეორე (შეზღუდული რეჟიმი) ზონაში, რომლის ფარგლებში დაშვებული და აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 მარტის №161 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას დაქვემდებარებული მიწისქვეშა წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონების განსაზღვრისა და დამტკიცების წესით“. შესაბამისად, აღიშნული წესის მოთხოვნები გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელებისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე საკითხების დაზუსტებამდე, კოდექსის მე-7 მუხლის 5[1] ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებაში ა/წ 14 ივლისს შევიდა ცვლილებები, რომლითაც მყარი სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების სფეროში დადგინდა ახალი რეგუალაციები (მყარი სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი ობიექტის განთავსებასთან დაკავშირებული შეზღუდვები, გადამუშავების პირობები და ა.შ.). გთხოვთ, აღნიშნული ახალი რეგულაციები გაითვალისწინოთ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებისას.

პატივისცემით,

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/11429-21-2-202608051430